17/06/2025

MES 7 25 0000678491

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 6 ივნისს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Jun. 6, 2025 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86986862042?pwd=bSbrmu6F3tquebODsmBnpYz714a3wb.1
Meeting ID: 869 8686 2042
Passcode: 619820

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტი"
ნანა ჯოლია - კოლეჯის დირექტორი
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
სოფიო კვერღელიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ირაკლი ოსეფაშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი
როლანდ ვაშაყმაძე - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი

ა(ა)იპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი დეკაარ
მადლენა კვარაცხელია - დირექტორი

შპს სამედიცინო ცენტრი ციტო
ნინო ბაკურაძე - კლინიკური მენეჯერი, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი
ეკატერინე მესხიძე - ტრენინგ ცენტრის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
ეკატერინე ბალარჯიშვილი
ანჟელა რომანაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" „ხე-ტყის დამზადება“ /02296/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრ დეკაარის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /02246/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს „სამედიცინო ლაბორატორიის ექთანი/ფლებოტომისტი“ /02295/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" „ხე-ტყის დამზადება“ /02296/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ეკატერინე ბალარჯიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 11 აპრილის №402676 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო ბექირაძე და დარგის ექსპერტმა ეკატერინე ბალარჯიშვილმა შეისწავლეს ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „ხე-ტყის დამზადება“ (ID 02296) განხორციელების უფლების

მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 2 მაისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში“, მისამართზე ჩოხატაური, სოფელი გორაბერეჟოული.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სახელწოდება ინგლისურ ენაზე იყოს „Timber Production“. საერთაშორისო სატყეო ტერმინოლოგიაში „ხე-ტყის დამზადება“ ამგვარი სახელწოდებითაა ცნობილი: - ჟღერს პროფესიონალურად; შეესაბამება მეტყევეობის საერთაშორისო ტერმინოლოგიას; შინაარსი გულისხმობს ხე-ტყის დამზადებას ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დაცვით.

ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

რეკომენდებულია სახელმძღვანელოს „ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანი სახეობების ასორტიმენტებისა და მოცულობის გასაანგარიშებელი ცხრილების“ ამოღება სასწავლო რესურსიდან, რადგანაც აღნიშნული ცხრილები მოცემულია „მეტყევის მეგზურში“.

ქვესტანდარტი 3.7 - გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს

რეკომენდებულია, რომ სერტიფიკატთან ერთად დაწესებულებამ უზრუნველყოს სერტიფიკატის დანართის გაცემა, რომელიც აისახება ელექტრონულ სისტემაში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. დაწესებულებას ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის „ხე-ტყის დამზადება“ შემუშავება განპირობებულია საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნის, დარგში ხე-ტყის სერტიფიცირებული დამამზადებლების დეფიციტის, სატყეო სექტორში 2013 წელს დაწყებული რეფორმების, ეროვნული სატყეო კონცეფციის, ახალი ტყის კოდექსის მოთხოვნათა შეჯერებით.

საქართველოს ტყეების ტერიტორიის 40%-ზე მეტს შეადგენს და აქვს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მნიშვნელობა.

დარგში არსებული კვალიფიციური კადრების დეფიციტი განაპირობებს შრომის ბაზარზე ხე-ტყის დამზადების სერტიფიცირებული სპეციალისტების მოთხოვნას, რომელიც მნიშვნელოვანს ხდის სპეციალიზებული უნარებისა და კომპეტენციების აუცილებლობას, რომლებიც შეიძლება მიღწეული იყოს მიზნობრივი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით. წარმოდგენილია სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში ბოლო 5 წლის განმავლობაში ხე-ტყის წარმოების შესახებ ინფორმაცია, რაც ცხადყოფს ხე-ტყის კვალიფიციური კადრების მოთხოვნას.

ასევე, მოცემულია შესწავლა იმ ლიცენზიანტებისა, რომლებიც ახორციელებენ ხე-ტყის დამზადებას საქართველოს მასშტაბით. კვლევიდან დადგინდა, თითქმის არ არსებობა ხე-ტყის დამამზადებლის კომპეტენციის მქონე ორგანიზაციების. შესაბამისად, პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია, კომპეტენტური და შესაბამისი უნარების მქონე კადრების მოსამზადებლად და მათი უნარების დასადასტურებლად.

პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „ხე-ტყის დამზადება“, რომელიც ბმაშია პროგრამის შინაარსთან. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი უკავშირდება პროფესიულ მომზადებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია ინგლისურენოვანი სახელწოდების ცვლილებასთან.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით კომპანიის წარმომადგენლებთან; მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით; პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით როგორც კოლეჯში, ასევე ორგანიზაციაში (სსიპ „ეროვნულ სატყეო სააგენტო“).

სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგებს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე;

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში; აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით; უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას; პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. პორტალი. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს ელ. სისტემაში. დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ელ. სისტემის დათვალიერებით დადგინდა, რომ სერტიფიკატების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად. თუმცა ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გაიცა რეკომენდაცია.

პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოებების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტის" „ხე-ტყის დამზადება“ /02296/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხე-ტყის დამზადება /02296/ **(დანართი 1).**

2. ა(ა)იპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრ დეკაარის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /02246/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 28 აპრილის №452857 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ორაგველიძემ შეისწავლეს ა(ა)იპ საგანმანათლებლო ცენტრ დეკაარის პროფესიული მომზადების პროგრამის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ (ID 02246)

განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 16 მაისს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ საგანმანათლებლო ცენტრი დეკაარში, მისამართზე ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 4.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 4.
მან მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, დაწესებულებას ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება.
ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი დეკაარ თანამშრომლობს კანის მოვლის სხვადასხვა კომპანიასთან, მათ შორის აქვს პარტნიორული ურთიერთობა კანის მოვლის პროფესიონალური ხაზის ევროპულ ბრენდთან. ამ პარტნიორობის ფარგლებში 2023 წლის მაისიდან ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი დეკაარ რეგულარულად ატარებს ქ. თბილისში ტრენინგებსა და მასტერ კლასებს კანის მოვლის პროფესიონალური ხაზის პროდუქციის დანიშნულებაზე, საკაბინეტო პროცედურებისა და პროტოკოლების გამოყენებაზე. გარდა ამისა, ატარებს გასვლით სემინარებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.
ტრენინგების დროს დამსწრეების უმეტესობას აინტერესებდა, ახორციელებდა თუ არა ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი დეკაარ პროფესიული მომზადების პროგრამას ესთეტიკურ კოსმეტოლოგიაში და შეეძლოთ თუ არა მათ ამ კურსის გავლა ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრ დეკაარში. გარდა ამისა, ესთეტიკური ცენტრებისა და კლინიკების მფლობელები და მენეჯერები ხშირად მიმართავდნენ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრ დეკაარს, კითხვით, ხომ არ ამზადებდა აღნიშნული ცენტრი ესთეტიკური კოსმეტოლოგიის სპეციალისტებს და ხომ არ ჰყავდა მომზადებული კადრები ამ სფეროში.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია; სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით დეკაარის წარმომადგენლებთან; მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგებს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის

შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი დეკაარ აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში; აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით; უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას; პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს ცენტის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ვროპული საგანმანათლებლო ცენტრ დეკაარის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /02246/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის ა(ა)იპ ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრ დეკაარს (ს/კ: 400387452) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ესთეტიკური კოსმეტოლოგია /02246/ **(დანართი 2).**

3. შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს „სამედიცინო ლაბორატორიის ექთანი/ფლებოტომისტი“ /02295/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ანჟელა რომანაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 15 მაისის №527389 ბრძანების (ცვლილება 2025 წლის 21 მაისის №556295 ბრძანება) საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ანჟელა რომანაძემ შეისწავლეს შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს პროფესიული გადამზადების პროგრამის „სამედიცინო ლაბორატორიის ექთანი/ფლებოტომისტი“ (ID 02295) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 27 მაისს განახორციელეს ვიზიტი შპს სამედიცინო ცენტრ ციტოში, მისამართზე ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 143.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ორი რეკომენდაცია
ქვესტანდარტი - 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამის პირველი და მესამე სწავლის შედეგების ფორმულირება დაკორექტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი. კერძოდ, პირველი სწავლის შედეგი „კლინიკურ ლაბორატორიაში მიმდინარე პროცესების დახასიათება (პრეანალიზური ფაზა, ანალიზური ფაზა, პოსტანალიზური ფაზა)“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „კლინიკურ ლაბორატორიაში მიმდინარე პროცესების გაცნობა“, ხოლო მესამე სწავლის შედეგი „ლაბორატორიული კვლევის შედეგად მიღებული კრიტიკული მაჩვენებლების აღქმის და შემდგომი რეაგირების უნარი და სამედიცინო ლაბორატორიის ექთნის კომპეტენციისა და უფლებების გაცნობიერება“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „ლაბორატორიული კვლევის შედეგად მიღებულ კრიტიკულ მაჩვენებლებზე რეაგირება“.
ქვესტანდარტი - 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას
რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში აისახოს პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდი. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება დაგეგმილია მეექვსე კვირას, პროგრამის მიხედვით განხორციელდება სამივე სწავლის შედეგის შემაჯამებელი ტესტირება, თუმცა არ არის განსაზღვრული თუ როგორ მოხდება პრაქტიკული უნარების შეფასება, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პრაქტიკული კომპონენტის შეფასება განხორციელდება შეფასების მეთოდით - პრაქტიკული დავალება.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 143.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. შპს სამედიცინო ცენტრ „ციტოს“ მიერ საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციასთან პარტნიორობით ჩატარდა კვლევა, კვლევის მიზანს წარმოადგენდა შრომის ბაზარზე არსებული ლაბორატორიის ექთნის კადრებზე მოთხოვნის გამოვლენა და კომპეტენციების დადგენა სამედიცინო ლაბორატორიის ექთნის მოკლევადიანი პროგრამისთვის. გამოკითხული კომპანიების უმრავლესობის აზრით (78.7%), სამედიცინო ლაბორატორიის ექთანზე მოთხოვნა მომავალი სამი წლის მანძილზე კიდევ უფრო გაიზრდება. არსებული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრების სიმცირიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზრდება.

წარმოდგენილ იქნა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 7 მარტის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №256954), რომლის თანახმად კომპეტენციის ფარგლებში განხილული იქნა ცენტრის დირექტორის წერილი, რომელიც ეხება მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის - „სამედიცინო ლაბორატორიის ექთანი/ფლებოტომისტი" (მე-5 დონე), განხორციელების უფლების მოპოვებას. ასეთი პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სამედიცინო ლაბორატორიების კვალიფიციური, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის მქონე კადრებით უზრუნველყოფას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი პოზიცია არა აქვს უწყებას.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება ჯანდაცვის მიმართულებით, სამუშაო გამოცდილება - ფლებოტომისტის ან პრაქტიკოსი ექთნის პოზიციაზე გამოცდილება - 1 წელი. კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამის დარგში 091 - ჯანდაცვა, ძველი კლასიფიკატორით განსაზღვრული კვალიფიკაცია 86.90.0 - ჯანდაცვის სხვა საქმიანობები. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია; სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით სამედიცინო ცენტრ ციტოს წარმომადგენლებთან. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მსმენელის შეფასებასთან მიმართებაშიც გაიცა რეკომენდაცია.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის

ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე; სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სამედიცინო ცენტრი ციტო აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში; აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით; უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით; კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. პორტალი. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს სისტემაში.
თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან; დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ელ. სისტემის დათვალიერებით დადგინდა, რომ სერტიფიკატების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
დაწესებულება ახორციელებს პროფესიული გადამზადების პროგრამას - სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკოსი. სამედიცინო ცენტრს ამ პროგრამაზე ჰქონდა მიღება ერთხელ, ამ ეტაპზე სწავლება დასრულებულია, სერტიფიკატები არ არის გაცემული.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავისი მოსაზრება.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, დარგის ექსპერტს თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ ნამდვილად ძალიან აქტუალურ საკითხს შეეხნენ და თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებენ მაქსიმალურად, რომ პროგრამა იყოს შედეგიანი და ეფექტიანი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს „სამედიცინო ლაბორატორიის ექთანი/ფლებოტომისტი“ /02295/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს სამედიცინო ცენტრ ციტოს (ს/კ: 204888461) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სამედიცინო ლაბორატორიის ექთანი/ფლებოტომისტი /02295/ **(დანართი 3).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 12:57 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02296	ხე-ტყის დამზადება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	8	ქართული	10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02246	ესთეტიკური კოსმეტოლოგია	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	20	ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 4

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02295	სამედიცინო ლაბორატორიის ექთანი/ ფლებოტომისტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	6	ქართული	15	ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. 143